ჩვენ გვჭირდება თქვენი დახმარება

ჩვენი ამოცანების შესასრულებლად, რაც უფრო მეტი ვიცით ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ მით უკეთ შევძლებთ ვითარების სტაბილიზაციის და ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მშვიდობის შენარჩუნებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობას.

ყოყმანის გარეშე მოგვიყევით რეგიონში მშვიდობისათვის საფრთხის შემქმნელი მოვლენების, თქვენი პრობლემებისა და სირთულეების შესახებ. ჩვენი დამკვირვებლები მოგისმენენ.

ერთად ჩვენ შევძლებთ ვიმუშაოთ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

რიგორ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ჩვენი დამკვირვებლები ყოველთვის სიამოვნებით გაგესაუბრებიან თქვენს სოფელში ან ქალაქში ყოველდღიური სადამკვირვებლო საქმიანობის შესრულებისას! უბრალოდ მიანიშნეთ, რომ მათთან საუბარი გსურთ.

ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით:
press@eumm.eu
ბრესასა და სახოგადოებასთან ურთიერთობის ოფისი
კრწანისის ქუჩა 49
კრწანისის რეზიდენცია
0114 თბილისი
საქართველო

www.eumm.eu

EUMM

ევროკავშირის
სადამკვირვებლო მისია
(ესმი)
საქართველოში

ვმუშაობთ
უსაფრთხოებისა და
სტაბილურობისათვის

EUMM

ვინ ვართ?

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა.

ჩვენი მისია 2008 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გამოიგზავნა, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელმაც ომი დაასრულა.

ჩვენი მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, რადგან ევროკავშირი არ აღიარებს ამ ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობას. თუმცა, რუსები, აფხაზები და ოსები არ გვაძლევენ ამ ორ რეგიონში შესვლის უფლებას და გამომდინარე იქიდან, რომ შეუიარაღებელი, სამოქალაქო მისია ვართ, არ შეგვიძლია ძალის გამოყენებით შევიდეთ ამ ტერიტორიებზე.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი ადგილზე ყოფნა მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ გვაქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლის შესაძლებლობა და ვთვლით, რომ მისიამ თავისი წვლილი შეიტანა კონფლიქტის განახლების თავიდან აცილებაში.

ჩვენ შემდგომშიც ხელს შევუწყობთ მშვიდობის უზრუნველყოფას და ადგილზე სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. ასევე, ჩვენ გვსურს ვიმუშაოთ ადმინისტრაციული საზღვრების არსებობის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად და ორივე მიმართულებით ადამიანების გადაადგილებისა და ტვირთის მოძრაობის ხელშესაწყობად.

საქართველოში მუშაობს ჩვენი მისიის 200-ზე მეტი მამაკაცი და ქალი დამკვირვებელი ევროკავშირის 26 წევრი ქვეყნიდან.

ჩვენ გვაქვს ოფისები თბილისში, მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში.

რას ვაკეთებთ?

ჩვენი სადამკვირვებლო ჯგუფები ახორციელებენ მონიტორინგს როგორც დღისით, ასევე ღამით, რათა დააკვირდნენ საერთო მგდომარეობას ადგილზე, წარადგინონ ანგარიშები ინციდენტების შესახებ და ასევე დააკვირდნენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებას. რეგიონში ყოფნით ჩვენ ხელს ვუწყობთ უსაფრთხოების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე რაიონებში.

ჩვენ კავშირი გვაქვს ქართველებთან, რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან, რათა შევინარჩუნოთ მშვიდი ვითარება ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ და თავიდან ავიცილოთ ცალკეული ინციდენტების მასშტაბების გაფართოება.

როგორც ჩვენი საქმიანობის ნაწილი, ჩვენ ასევე დროულად ვაგროვებთ ინფორმაციას მრავალ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემებზე.

რას არ ვაკეთებთ?

ჩვენ არ ვართ ჰუმანიტარული ან განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაცია და არ შეგვიძლია ჰუმანიტარული დახმარების გაწევა ან კონკრეტული პროექტების დაფინანსება. ჩვენ შეგვიძლია ხალხის შეხედულებებისა და პრობლემების მოსმენა, ინფორმაციის შეგროვება იმის შესახებ თუ რა არის საჭირო და ამ ინფორმაციის იმ ორგანიზაციებისათვის მიწოდება, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო დახმარების აღმოჩენა, იქნება ეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.